ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერია
საკონკურსო კომისია

ბრძანება

N 3
12/10/2018

3-01-4-201810121318

"ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის
აპარატის შექმნის შესახებ" საკონკურსო კომისიის 2017 წლის 7 დეკემბრის N3 ბრძანებაში ცვლილების
შეტანის შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის", ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 4 დეკემბრის №3170, №3181 ბრძანებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63- მუხლის საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. "ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ" საკონკურსო კომისიის 2017 წლის 7 დეკემბრის N3 ბრძანების პირველი მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაციით:

„**მუხლი 1.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის საქმიანობის ორგანიზებისა და მუშაობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, შეიქმნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჩაკვეტაძე ნინო - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის უფროსი;

ბ) ბენიძე გიორგი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;

გ) გობიანი გურანდა - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;

დ) აბჟანდაძე შოთა - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე, აპრატის წევრი".

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

ირაკლი გიორგაძე

კომისიის თავმჯდომარე

მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის 3 ელ-ფოსტა: Irakligiorgadze1982@mail.ru ტელ: 24-17-64 მობ: 595-11-44-53